განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 01/09/2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 02/10/2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204555524
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, სსიპ -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ჯღარკავა, შპს - კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯავახიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე. პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც ექნება ფართო ცოდნა ზოგადი და დარგობრივი ცოდნა ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში, შეძლებენ ბიზნეს იდეის ფორმირებას, ბიზნეს პროცესების განვითარებაში, სამეწარმეო რესურსების დაგეგმვასა და განაწილებაში მონაწილეობის მიღებას. საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია 240 ECTS კრედიტის მოცულობით, რომელიც გადანაწილებულია შემდეგი სტრუქტურით:

- ❖ ძირითადი სწავლის სფეროს სავალადებულო სასწავლო კურსები - 172 კრედიტი;
- ❖ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 28 კრედიტი;
- ❖ თავისუფალი კომპონენტი, რომელიც თავის მხრივ შედგება: თავისუფალი სავალდებულო კომპონენტისაგან - 20 კრედიტი;
- ❖ თავისუფალი კრედიტები -20 კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტის სახით წარმოდგენილია საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი) და პრაქტიკის კომპონენტი (10 კრედიტი). პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. პროგრამას განსაზღვრული აქვს მიღების წინაპირობები, რაც უზრუნველყოფს

პროგრამაზე შესაბამისი კომპეტენციების მქონე პირების მოხვედრას. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდები.

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 34 აკადემიური პერსონალი, მათ შორის: 20 არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ხოლო 14 მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი წარმოდგენილია შემდეგი სახით: 7 პროფესორი, 5 ასოცირებული და 8 ასისტენტ პროფესორი. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან 11 აფილირებულია უნივერსიტეტთან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2022 წლის 1 სექტემბერს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტის დროს უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფისთვის უზრუნველყო სამუშაო გარემო. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთან.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. შემოწმდა სილაბუსში მითითებული ლიტერატურის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომობა და ელექტრონულ ბაზებზე წვდომა. უნივერსიტეტმა ვიზიტის დროს წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ვიზიტი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

წინამდებარე დასკვნის მიხედვით ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ან მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, კერძოდ:

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა 1.2 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან 2.1, 2.2 და 2.6 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია გადახედილ იქნეს პროგრამის კურიკულუმის რუკა, კერძოდ, დაზუსტდეს პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსის მონაწილეობის დონე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების ლოგიკა;
2. რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ, პროგრამის მიმართულებისა და არსებული რეგულაციების გათვალისწინებით არჩევითი-სავალდებულო საგნების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნეს გეოგრაფია;
3. რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული სასწავლო კურსების წინაპირობები და კურსის სახელწოდებები მოვიდეს სრულ შესაბამისობაში კურსის სილაბუსით განსაზღვრულ წინაპირობებთან და სახელწოდებებთან.
4. რეკომენდებულია დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული შეფასების სისტემა, კერძოდ, საჭიროა განხორციელდეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კომპონენტებში გამოყენებული ქულების ჩაშლა და დაკონკრეტდეს საბაკალავრო ნაშრომის დასკვნით შეფასებაზე დაშვების პირობა ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების კრიტერიუმების განმარტების გზით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურის განახლება, კერძოდ: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (ძირითადი გამოყენებული ლიტერატურა 2014 წ), კალკულუსი ბიზნესისათვის I და II (2010 წ); ინოვაციური მენეჯმენტი (2017 წ).
2. სასურველია პრაქტიკის აღნიშნული სილაბუსების დახვეწა, კერძოდ პრაქტიკის კომპონენტის ერთი სილაბუსის სახით ფორმირება, სადაც ასევე იქნება დეტალურად გაწერილი სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე ყოფნისას შესასრულებელი საქმიანობის დროის განაწილება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **ინფორმაცია დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული და ასახავს იმ მოცემულობას რომელსაც უნდა მიაღწიონ პროგრამის კურსდამთავრებულებმა. კერძოდ, პროგრამის მიზანია აღზარდოს კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც ექნება ფართო ცოდნა ზოგადი და დარგობრივი ცოდნა ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში, შეძლებენ ბიზნეს იდეის ფორმირებას, ბიზნეს პროცესების განვითარებაში, სამეწარმეო რესურსების დაგეგმვასა და განაწილებაში მონაწილეობის მიღებას. შესაბამისად, პროგრამის მიზანი მიმართულია იმ ცოდნის, უნარების და კომპეტენციების შეძენაზე რომელიც უნდა გააჩნდეს პროგრამის კურსდამთავრებულებს. პროგრამის მიზანში გამოკვეთილია ასევე ის გარემოება, რომ პროგრამა არა მხოლოდ დარგის სპეციალისტის აღზრდას უზრუნველყოფს, არამედ ორიენტირებულია ეროვნული ღირებულებების მქონე მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, ცხადია რომ პროგრამას შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს როგორც დარგის, ისე საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია, უნივერსიტეტის მისიასთან. უნივერსიტეტის მისია არის: ,,შექმნას ინოვაციური ცოდნის პლატფორმა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. უზრუნველყოს პრაქტიკულ კვლევებზე დაფუძნებული მაღალი ხარსხის განათლება; სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო ურთიერთობების დიაპაზონის გაფართოება და დივერსიფიცირება; ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც, ეთიკურ და დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით, თავისუფალი და შემოქმედებითი მიდგომებით, ადვილად შეძლებს ცვალებად გარემოში

ადაპტირებას“. ცხადია, პროგრამა თავისი მიზნებიდან გამომდინარე ორიენტირებულია როგორც კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე, ისე საერთაშორისო ურთიერთობების დიაპაზონის გაფართოებაზე. გარდა იმისა, რომ პროგრამა ინგლისურენოვანია, იგი პროგრამის სტუდენტებს თავაზობს როგორც ევროპული ენების ისე აზიური ენების შესწავლას (ქართული, ჩინური, რუსული თურქული, გერმანული), რაც ცხადია ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაფართოებას. ამასთან, პროგრამას თან ახლავს ბეჩმარკინგის დოკუმენტი სადაც დეტალურად არის განხილული როგორც საქართველოში მოქმედი ანალოგიური პროგრამები, ისე უცხოური გამოცდილება (Stanford University, University of California, Berkley; University of Pensylvania, Wharton; Tepper School of Business; University of South Carolina; West Virginia University;, Emory University; University of Ilinois, Chicago. University of London, London School of Business და სხვა.)

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2021 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევით. კვლევის ფარგლებში რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდის გამოყენებით. მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე ელექტრონულად გამოკითხული იქნა სხვადასხვა სექტორის 105 ორგანიზაცია. გარდა ამისა კვლევის პროცესში ჩატარებული იქნა პირისპირ ინტერვიუები წინასწარ შედგენილი კითხვარის გამოყენებით. ინტერვიუების პროცესში გამოკითხული იქნა ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: BDO, EY, Grand Thorthon, KPMG, Marriot, Biltmore, Wendy's, PepsiCo, Coca-Cola, Agrohub, M2 , Archi, Tetri Kvadrati, Lactalis, Diplomat, Barambo, Zedazeni, Borjomi, Anagi, Mcdonalds, Majorel, Tavi, Black Sea Group, M Group, ICR Group, Hiltone, Radisson, Goodwill , Carefour, Aptos, 2 Nabiji, Magniti, TBC Bank, Bank of Georgia, Liberty Bank, JPC/Pharmadepo, PSP, Aversi, KFC, Blue Tabla/Nido, Tbilvino. Sarajishvili. Alcorium, Smaglers, Meama, Gastronome, Nova, Elit Electronics, Domino, Beko, Evrosteel, Saqkabeli, Elvare, Alta, Subway, Baskin Robbins, Luka Polare, Wolt, Glovo, Blaunshtain, Tkbili Kvekana, Mada, Bela, Sandomi, Chero, Kula, Marneuli Medi, Betlive, Europabet, Adjara bet, Evolution, Silknet, Modus, Gorgia, Wishlist, Spar, Antre, TsiskhviliGroup, SKA JUICE Bar, FIT PASS, Tegeta Motors, Navne, TIME, SUPER, Biblus, Cherie, Socar, Gulf, DRESS UP Group, Alliance Group, Fabrika, Ardi, Evroproduct, Swiss Capital, Silk Road Bank, Supta Sakhli, KTW, Zodi, Philip Morris, „თიბისი“ ბანკი; ქალაქ თბილისის მერია; შემოსავლების სამსახური, აუდიტის სამსახური, თიბისი დაზღვევა, შპს თეგეტა მოტორსი, შპს ეკოლაინი, შპს აუდიტორიული კომპანია „ლაზონა“ სს, ნიკორა ტრეიდი, სს ფუდმარტი, ხალიკ ბანკი, საქართველო ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია,

დასაქმების სააგენტო, საქართველოს ბანკების ასოციაცია, სუპერმარკეტების ქსელი ჯორჯიტა, საქართველოს სადაზღვეო კომპანიათა ასოციაციათა, შპს აუდიტორიული ფირმა თი აი ეი ჯი აუდიტი, შპს ბიბილუსი, შპს CBD Developmen. გამომდინარე აქედან ცხადია, რომ დაწესებულებამ შეისწავლა საქართველოს ბაზარზე ოპერირებადი როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიების მოთხოვნები. გარდა ამისა, კვლევაში ბიზნეს ადმინისტრირების კვალიფიკაციის ადამიანურ რესურსზე არსებული მოთხოვნის შეფასების მიზნით შესწავლილია დასაქმების პლატფორმებზე (jobs.ge და HR.ge) განთავსებული პროფილური განაცხადები. როგორც წარმოდგენილი კვლევის შედეგებიდან ირკვევა ბაზარზე არსებობს მოთხოვნა ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიციური სპეციალისტების მიმართ, შესაბამისად წარმოდგენილი პროგრამა პასუხობს ბაზარზე არსებულ ტენდენციებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები, კონცეფცია გაზიარებულია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად, ყველა აკრედიტებული პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე აკადემიური პროგრამების კატალოგში (https://bit.ly/3qrzZw6), რაც უზრუნველყოფს აკადემიური პროგრამების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. გამომდინარე აქედან, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული პროგრამა აკრედიტაციის შემთხვევაში ასევე იქნება განთავსებული უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების კატალოგში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისია; ○ აკადემიური პროგრამების კატალოგი (https://bit.ly/3qrzZw6); ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და წარმოდგენილია 8 სწავლის შედეგის სახით, რომლებიც გადანაწილებულია ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის კონტექსტში. სწავლის შედეგები პასუხობს პროგრამის მიზნებს და ასახავს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სწავლის ძირითად შედეგებს. პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი ,,პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად“. არსებული წესის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. წარმოდგენილი გეგმის შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება უნდა განხორციელდეს ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით, გეგმაში გაწერილია რომელი სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ ცალკეული სწავლის შედეგების შეფასებას, წარმოდგენილია შეფასების კონკრეტული ინსტრუმენტები, სასწავლო კურსების მიხედვით შეფასების პერიოდები და განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები. უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად სამიზნე ნიშნულებიდან 20%-იანი გადახრა ხდება პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების და მისი მიღწევის საშუალებების გადახედვა. ვინაიდან პროგრამა ახალია, დაწესებულების მხრიდან ნიმუშის სახით წარმოდგენილი იქნა მოქმედი მომიჯნავე საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტები, რაც ადასტურებს

აღნიშნული მექანიზმის ქმედუნარიანობას. შესაბამისად, შეგვიძლია აღვნიშნოთ რომ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადია და შესაბამისად, რეალისტურია. პროგრამას თან ახლავს ასევე პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობისა და პროგრამის კურიკულუმის რუკა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურიკულუმის რუკის მიხედვით, პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგი ვითარდება გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების ლოგიკით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული თანმიმდევრობა გადასახედია. მაგალითად, სასწავლო კურსები მარკეტინგის საფუძვლები და ბიზნეს ინგლისური ჩართულია სწავლის შედეგების განმტკიცების ნაწილში, რაც კურსების შინაარსის გათვალისწინებით ბუნდოვანია. ამასთან, კურიკულუმის რუკაზე გადასახედია პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგის განვითარების ლოგიკა, მაგალითად პროგრამის მე-8 სწავლის შედეგის განმტკიცება კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება მესამე სემესტრში სასწავლო კურსით ბიზნეს ინგლისური, თუმცა იგივე სწავლის შედეგის გაცნობა ხდება მეოთხე სემესტრში ბიზნესის სამართლებრივი გარემოს სასწავლო კურსით. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია გადახედილ იქნეს პროგრამის კურიკულუმის რუკა, კერძოდ დაზუსტდეს პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსის მონაწილეობის დონე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების ლოგიკა.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის მეექვსე დონეს და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს. პროგრამის სწავლის შედეგები ფარავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ძირითად მიმართულებებს (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები), შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და მისი მიღწევის შემთხევაში პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს როგორც პროფესიით დასაქმებას, ისე განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას. ინტერვიუების პროცესში გაირკვა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები, შესაბამისად პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული პირები იცნობენ პროგრამის სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას აქტიურად გამოიყენება არაპირდაპირი მეთოდებიც, კერძოდ, ხდება პროგრამის კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. გამოკითხვები ტარდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით, პერიოდულად და იძლევა საშუალებას დადგინდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონე. აღნიშნული

დასტურდება დაწესებულების მიერ მომიჯნავე საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის დოკუმენტით, სადაც გარდა არსებული მდგომარეობის აღწერისა გაანალიზებულია პროგრამის სამიზნე ნიშნულებიდან არსებული გადახრების გამომწვევი მიზეზები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით ხდება კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ ისინი იღებენ ადეკვატურ მხარდაჭერას დაწესებულების მხრიდან პროგრამის სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისათვის. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს პერმანენტულ შეხვედრებს, სემინარებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი გარდა განმსაზღვრელი შეფასებებისა აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასებებს, კერძოდ ახდენენ უკუკავშირს სტუდენტებთან სწავლის დადგენილი შედეგების მიღწევის მდგომარეობის შესახებ, აცნობენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს და ერთად გეგმავენ არსებული ხარვეზების გამოსწორების გზებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; ○ ბიზნესის ადმინისტრირების მომიჯნავე საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი; ○ პროგრამის კურიკულუმის რუკა; ○ პროგრამის სამიზნე ნიშნულები; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისია; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია გადახედილ იქნეს პროგრამის კურიკულუმის რუკა, კერძოდ, დაზუსტდეს პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსის მონაწილეობის დონე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და დაკორექტირდეს პროგრამის

სწავლის შედეგების განვითარების ლოგიკა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების (ქართული ენა და ლიტერატურა; უცხოური ენა (ინგლისური); არჩევითი-სავალდებულო საგნებიდან ერთერთი (ან გეოგრაფია, ან ისტორია ან მათემატიკა) შედეგების (ინგლისურ ენაში მინიმუმ 60 ქულის მიღების) საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ", მუხლი 52). აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან აბიტურიენტები ეროვნულ გამოცდებს ახალი მოდელით აბარებენ სადაც ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით გამოცდები ტარდება სამ სავალდებულო საგანში: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხოური ენა; მათემატიკა/ისტორია. ამასთან, უსდ-ს შეუძლია სურვილისამებრ განსაზღვროს, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, დამატებითი საგამოცდო საგნები, რომელთა შორის არის გეოგრაფიაც. გამომდინარე აქედან, ცხადია რომ პროგრამის წინაპირობაში არსებული ჩანაწერი დასაკორექტირებელია, ვინაიდან, გეოგრაფია ვერ იქნება არჩევითი-სავალდებულო საგნებიდან ერთ-ერთი. საგანი წარმოადგენს დამატებით საგამოცდო საგანს და უსდ-ს სურვილის შემთხვევაში შეუძლია მისი გამოყენება, როგორც დამატებითი საგამოცდო საგანი.

პროგრამაზე სწავლის აუცილებელი წინაპირობაა B2 დონის ფლობა ინგლისურ ენაში, რომელიც შეიძლება დადასტურდეს შესაბამისი ცოდნის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით (ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მსურველისთვის პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით მიიღება ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი (CEFR B2, IELTS exam – 5 BEC exam and CELS exam – Vantage; Cambridge exam – FCE; Pritman ESOL International; TOEIC – 600; TOEFL – 510 (paper - based) 173 (computer - based) 61 (internet – based/-) და/ან სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტესტირებით ინგლისურ ენაში. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ, პირი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტს წარუდგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა-სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი

დოკუმენტი. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ, პროგრამის მიმართულებისა და არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, არჩევითი-სავალდებულო საგნების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნეს გეოგრაფია.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომლის შესაბამისადაც შემუშავებულია ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია 240 ECTS კრედიტის მოცულობით, რომელიც გადანაწილებულია შემდეგი სტრუქტურით: ❖ ძირითადი სწავლის სფეროს სავალადებულო სასწავლო კურსები - 172 კრედიტი; ❖ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 28 კრედიტი; ❖ თავისუფალი კომპონენტი, რომელიც თავის მხრივ შედგება: თავისუფალი სავალდებულო კომპონენტისაგან - 20 კრედიტი; ❖ თავისუფალი კრედიტები -20 კრედიტი. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის შინაარსი ფარავს ბიზნესის ადმინისტრირების ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა მენეჯმენტი, მარკეტინგი და ფინანსები. პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებას. პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტის სახით გათვალიწინებულია საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი) და პრაქტიკის კომპონენტი (10 კრედიტი). საბაკალავრო ნაშრომი ორიენტირებულია უზრუნველყოს პროგრამის კურსდამთავრებულისთვის სასწავლო-კვლევითი უნარების გამომუშავება და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში სტუდენტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. პრაქტიკის კომპონენტი ორიენტირებულია უზრუნველყოს აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცება და პრაქტიკული უნარების შეძენა. პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების შეიარაღება პრაქტიკული უნარებით და მათი მომზადება მომავალი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის. პროგრამის სტრუქტურაში

გათვალისწინებულია ასევე თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები 20 კრედიტის მოცულობით. აღნიშნული მოდული ემსახურება სტუდენტებში ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებას და წარმოდგენილია შემდეგი სასწავლო კურსებით: აკადემიური წერა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, კომუნიკაციების ტექნოლოგიები, მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო, მათემატიკა. გარდა ზემოთაღნიშნულისა, პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია როგორც სპეციალობის არჩევითი, ისე თავისუფალი კრედიტების სასწავლო კურსები. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები წარმოდგენილია 28 კრედიტის მოცულობით და სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას თავიანთი ინტერესიდან გამომდინარე გაიღრმავონ ცოდნა მათთვის სასურველი მიმართულებით. თავისუფალი კრედიტების (20 კრედიტი) ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ ნებისმიერი კურსი როგორც მოცემული პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებიდან, ასევე უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საგანამანათლებლო პროგრამიდან. მათ შორის შესაძლებელია შეისწავლონ ქართული, რუსული, გერმანული, ჩინური, თურქული ენები. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია რომ პროგრამის შინაარსი, მოცულობა, მისი სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისთვის საჭირო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და ლოგიკური თანმიმდევრობით უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო კურსების ათვისებას. ამასთან, პროგრამის სასწავლო გეგმაში გაპარულია გარკვეული ხასიათის უზუსტობები, მაგალითად სილაბუსების მიხედვით ბრენდის მართვისა და მომსახურების მარკეტინგის სასწავლო კურსებს წინაპირობად ლოგიკურად განსაზღვრული აქვთ მარკეტინგის საფუძვლები, რაც არ არის მითითებული პროგრამის სასწავლო გეგმაში, ასევე სასწავლო კურსი მარკეტინგის საფუძვლები წინაპირობების იდენტიფიცირების ნაწილში მოხსენიებულია როგორც მარკეტინგის პრინციპები. ასევე, სასწავლო კურსებს ემოციების მართვა, ცვლილებების მართვა და დროის მართვა სილაბუსების მიხედვით ლოგიკურად განსაზღვრული აქვთ დაშვების წინაპირობად მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსი, რაც ასევე არ არის მითითებული სასწავლო გეგმაში. გამომდინარე აქედან, რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული სასწავლო კურსების წინაპირობები და კურსის სახელწოდებები მოვიდეს სრულ შესაბამისობაში კურსის სილაბუსით განსაზღვრულ წინაპირობებთან და სახელწოდებებთან.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერზე

განთავსებულია აკადემიური პროგრამების კატალოგი, რაც საშუალებას იძლევა ნებისმიერი მსურველი გაეცნოს პროგრამას და მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. აღნიშნული წესი ცხადია უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების წესი; ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; ○ პროგრამის კურიკულუმის რუკა; ○ პროგრამის სამიზნე ნიშნულები; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული სასწავლო კურსების წინაპირობები და კურსის სახელწოდებები მოვიდეს სრულ შესაბამისობაში კურსის სილაბუსით განსაზღვრულ წინაპირობებთან და სახელწოდებებთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო

კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გამომდინარეობს ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებიდან, რომელიც მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით სასწავლო კურსებს, პრაქტიკის კომპონენტს 10 კრედიტი და კვლევის კომპონენტს 10 კრედიტი (საბაკალავრო ნაშრომი) და აღწერილია სწავლის შედეგების რუკაში. სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება მასში აღწერილ სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურს. სასწავლო ლიტერატურის და თემატიკის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების გავლის შემდგომ მოსალოდნელი შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსს, ასათვისებელი მასალის მოცულობას, სირთულესა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსები მოიცავს საკონტაქტო (ლექცია, სემინარი, გამოცდა) და დამოუკიდებელ საათებს, რომელთა შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და წარმოადგენს სფეროსათვის აქტუალურ, რელევანტურ და ბიზნესის მიმდინარე თანამედროვე გამოწვევებისა და მიღწევების ამსახველ მასალას. თუმცა, ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამისათვის ზოგიერთ საგნისთვის უმჯობესი იქნება ლიტერატურის განახლება, კერძოდ: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (ძირითადი გამოყენებული ლიტერატურა 2014 წლის), კალკულუსი ბიზნესისათვის I და II (2010 წლის); ინოვაციური მენეჯმენტი (2017 წლის).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ პროგრამის კურიკულუმის რუკა; ○ ბიბლიოთეკის წიგნადი და ციფრული ფონდი; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურის განახლება, კერძოდ: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (ძირითადი გამოყენებული ლიტერატურა 2014 წ.), კალკულუსი ბიზნესისათვის I და II (2010 წ); ინოვაციური მენეჯმენტი (2017 წ.).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისთვის პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი მოიაზრებს დამოუკიდებელ პრაქტიკის კომპონენტს (10 ECTS). პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი წარმოდგენილია ოთხი მიმართულებით: ვაჭრობა/მომსახურება; ფინანსები და საბანკო სფერო; საწარმოო სექტორი; სასწავლო ინკუბატორი. ამასთან, აღნიშნული კომპონენტების მიზანი, შინაარსი, შეფასების სიტემა და სწავლის შედეგები ერთია. შესაბამისად, სასურველია პრაქტიკის აღნიშნული სილაბუსების დახვეწა, კერძოდ პრაქტიკის კომპონენტის ერთი სილაბუსის

სახით ფორმირება, სადაც ასევე დეტალურად იქნება გაწერილი სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე ყოფნისას შესასრულებელი საქმიანობის დროის განაწილება.

პროგრამა უზრუნველყოფს ტრანსფერული უნარების განვითარებას, რასაც ადასტურებს სასწავლო კურსებში ტრანსფერული უნარების ინტეგრირება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვას ნაშრომებში, რომლის საკითხებიც განიხილება აკადემიური წერისა და კეთილსინდისირების სასწავლო კურსის ფარგლებში. ასევე სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური კეთილსინდსიერების პოლიტიკა, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი და პრაქტიკის განხორციელების წესი. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში პლაგიატის დასაშვებ ნორმასთან დაკავშირებით ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს კორექტირებას.

სტუდენტებთან გამოკითხვის შედეგების მიხედვით გამოიკვეთა რომ სასწავლო უნივერსიტეტი კონფერენციების შესახებ ავრცელებს ინფორმაციას და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის კურიკულუმის რუკა;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან;
- საბაკალავროს ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი;
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ციფრული ფონდი;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პრაქტიკის სილაბუსების დახვეწა, კერძოდ პრაქტიკის კომპონენტის ერთი სილაბუსის სახით ფორმირება, სადაც ასევე იქნება დეტალურად გაწერილი სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე ყოფნისას შესასრულებელი საქმიანობის დროის განაწილება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია ლექცია, სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. ხოლო ამ მეთოდების ფარგლებში გამოიყენება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (ქეისები), ქვიზები/ტესტები, პროექტების პრეზენტაცია, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი და სხვ. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში მოქმედებს ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ , რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების შეუფერხებელ ჩართვას სასწავლო პროცესში. მოწვეული და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ თითოეული ლექტორი, კურსის საჭიროებებისა და საკუთარი შეხედულებისამებრ ადგენს სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მეთოდებს და ამ მიმართულებით სასწავლო უნივერსიტიტეტის ტრენინგ ცენტრის მიერ რეგულარულად ტარდება ტრენინგები აკადემიური /მოწვეული სპეციალისტებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საბაკალავროს ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი .

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ უსდ-ში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, სტუდენტთა შეფასების სისტემა გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისია.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების

განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას. აკადემიურ პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ შემფასებლები სათანადოდ არიან ინფორმირებული და პერიოდულად უტარდებათ შესაბამისი ტრენინგები. ამასთანავე, ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

შეფასების კომპონენტები სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კომპონენტები და კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. უნივერსიტეტში არსებული შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და მრავალკომპონენტიანია.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს. უსდ-ში დანერგილია და ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემა emisadmin.gtuni.ge და ელექტრონული ტესტირების სისტემა LMS Moodle. სასწავლო პროცესის მართვის სისტემა ლექტორს საშუალებას აძლევს მარტივად და სწრაფად ასახოს შეფასების შედეგები, ხოლო სტუდენტების შემთხვევაში, მათ აქვთ ატვირთულ ელექტრონულ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობა.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საგანმანთლებლო პროგრამით სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს

შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების გადანაწილება და კომპონენტები განისაზღვრება კურსის ლექტორის მიერ საკუთარი შეხედულებებისა და კურსის საჭიროებიდან გამომდინარე. სტანდარტულად, შუალედური და დასკვნითი შეფასებების ხვედრითი წილი შეიძლება იყოს 70/30 ან 60/40.

დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დაძლევა. მინიმალური კომპეტენციის ზღვრები განსაზღვრულია სასწავლო კურსების /კომპონენტების სილაბუსებში. შეფასების ფორმები და კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებში.

აღსანიშნავია, რომ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სტუდენტთა მიერ საბაკალავრო ნაშრომის შესრულებასაც. შესაბამისად, უნივერსიტეტში მოქმედებს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ერთიანი წესი, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამისთვის წარმოდგენილია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში არ არის ინფორმაცია საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისათვის ფორმალურ-ტექნიკური მოთხოვნების შესახებ, რაც ჩვენი აზრით სტუდენტებში გამოიწვევს გარკვეულ ბუნდოვანებას და შეაფერხებს ნაშრომის შესრულების პროცესს. გარდა ამისა, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ნაწილში ხელმძღვანელის შეფასების კომპონენტები წარმოდგენილია 30 ქულით, რომელიც ჩაშლილია შედეგი სახით:

- სტუდენტის პასუხისმგებლიანობა, დამოუკიდებლობა, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა - 8 ქულა;
- ნაშრომის მიზნის, მეთოდებისა და შინაარსის შესაბამისობა - 10 ქულა;
- კვლევის საკითხის გააზრება, პირველადი/სამაგიდე წყაროების ანალიზი,

არგუმენტირებული მსჯელობისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი - 12 ქულა

ცხადია, ზემოთაღნიშნული შეფასების კომპონენტის დიფერენცირება კარგია, თუმცა ქულების მოცემული რანჟირებით ბუნდოვანია სტუდენტს რა შემთხვევაში დაეწერება სილაბუსში მოცემულ შეფასებებზე ნაკლები შეფასება. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია რომ საჭიროა საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში განხორციელდეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კომპონენტებში გამოყენებული ქულების ჩაშლა, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის მეტ გამჭირვალეობას.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს ,,პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და მასზე რეაგირების წესი:, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი პლაგიატის აღმოჩენის, მისი თავიდან აცილების, პლაგიატის ფაქტებზე რეაგირების საშუალებები და პროცედურა. უსდ-ში გამოიყენება პლაგიატის ამომცნობი ელექტრონული პროგრამა - URKUND, თუმცა ადმინისტრაციის განმარტებით უახლოეს მომავალში დაგეგმილი მისი ჩანაცვლება ტურნითინის პლაგიატის ამომცნობი ელექტრონული პროგრამით. უნივერსიტეტში დაცული ნაშრომები მოწმდება ანტიპლაგიატზე, რაც გაწერილია ასევე საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის მიხედვით საბაკალავრო ნაშრომის დასკვნით შეფასება დაშვებისთვის აუცილებელია ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმების შემდეგ ნაშრომის ორიგინალური ტექსტი იყოს 70%-ი და მეტი. მიგვაჩნია რომ აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და იძლევა მცდარი ინტერპრეტირების საშუალებას, კერძოდ, ჩანაწერის მიხედვით 70%-ის ზემოთ ტექსტის 30% პლაგიატი შეიძლება იყოს თუ მხოლოდ თანხვედრა, რომელიც უნდა დადასტურდეს ხელმძღვანელის მიერ. ცხადია, უსდ-ს წარმომადგენლების განმარტებით ეს მხოლოდ თანხვედრაა, თუმცა შეფასების სისტემის მეტი გამჭირვალეობისათვის საჭიროა საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში აღნიშნული ჩანაწერის დაკორექტირება.

უსდ-ში სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და აკადემიურ პერსონალთან საუბრისას დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში დანერგილია უკუკავშირის მიცემისა და სტუდენტთა შედეგების განხილვის პრაქტიკა.

უსდ-ში არსებობს სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. თუმცა, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ფლობენ მწირ ინფორმაციას გასაჩივრების არსებული სისტემის შესახებ, ვინაიდან ფაქტობრივად არ იყენებ/იყენებდნენ მას. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ კარგი იქნებოდა,

სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებულნი გასაჩივრების მექანიზმის შესახებ, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა მათი აკადემიური უფლებების რეალიზაციის მასშტაბებს. აღსანიშნავია, ისიც რომ უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების გასაჩივრების მექანიზმი მოიცავს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობასაც, რაც ცხადია მისასალმებელი ფაქტია. არსებული პრაქტიკის მიხედვით ხელახალი შეფასება ხორციელდება დამოუკიდებელი დარგის სპეციალისტ(ებ)ის მიერ, გადაწყვეტილების ფარგლებში კომისია უფლებამოსილია გადახედოს ხელმძღვანელის შეფასებას, შეცვალოს რეცენზენტი ან/და დანიშნოს ნაშრომის ხელახალი დაცვა ან უარი თქვას სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულ ნაწილში ბუნდოვანია კონკრეტულად საბაკალავრო ნაშრომის შეფასების რომელი კომპონენტის ან დეტალის გასაჩივრების უფლება აქვს სტუდენტს, რამაც იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი მოითხოვს ნაშრომის საბოლოო დასკვნითი შეფასების გასაჩივრებას მას არსებული წესის მიხედვით ექნება სრული უფლება თავიდან მოითხოვოს თუნდაც პრეზენტაციის ნაწილის ჩაბარება და ა.შ. გამომდინარე აქედან, აღნიშნული ტიპის გაუგებრობების პრევენციის მიზნით მიგვაჩნია, რომ სასურველია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების პირობების მეტი დეტალიზება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ საბაკალავროს ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან; ○ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების სისტემა; ○ სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში; ○ ინფორმაცია აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.

რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული შეფასების სისტემა, კერძოდ საჭიროა განხორციელდეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კომპონენტებში გამოყენებული ქულების ჩაშლა და დაკონკრეტდეს საბაკალავრო ნაშრომის დასკვნით შეფასებაზე დაშვების პირობა ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების კრიტერიუმების განმარტების გზით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია მოხდეს სტუდენტების მეტი ინფორმირება გასაჩივრების წესის შესახებ და დაიხვეწოს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების წესი
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას. უსდ სტუდენტებს სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს უწყობს მათ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომელსაც უსდ სთავაზობს. აკრედიტაციის ვიზიტისას უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუებისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სტუდენტები იღებენ კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით. უსდ-ში მოქმედებს სტრუქტურული ერთეული - სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახური. სტუდენტური სერვისების ფარგლებში, ყველა დაინტერესებულ პირს ეძლევა დეტალური ინფორმაცია, როგორც აკადემიური მიმართულებით, ისე კურიკულუმს გარეშე და სტუდენტური ცხოვრების აქტივობების ირგვლივ საჭირო საკითხების მიმართულებით. სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონფერენციებისადა სხვა აქტივობების შესახებ. უსდ-ში სტუდენტი იღებს ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. ამ მიმართულებით უსდ-ში

რეგულარულად ტარდება საინფორმაციო ტიპის შეხვედრები სამიზნე ჯგუფებთან. უსდ-ში საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდება როგორც სემესტრის დასაწყისში, წინასწარ შემუშავებული გრაფიკით, ასევე ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე. საკონსულტაციო დღეების და საათების შესახებ ინფორმაციის მიწოდება უსდ-ში პერსონალის მიერ ხორციელდება დროულად, დადგენილ ვადებში. საკონსულტაციო დატვირთვების მოცულობა და კვირეული განაწილება ასახულია აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის დოკუმენტებში. აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათები. პროფესორსა და სტუდენტს შორის უზრუნველყოფილია მუდმივი კომუნიკაცია მართვის სისტემის emisadmin.gtuni.ge-ითა და ელექტრონული ფოსტით. უსდ-ში ტარდება დასაქმების ფორუმები, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს ეძლევათ ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს და უცხოურ შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ, რათა, სურვილის შემთხვევაში მოხდეს სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან; ○ სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა	√			

მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს ,,აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი“, რომელიც არეგულირებს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაოზე მიღების/ შერჩევის/ არჩევის/ დანიშვნის წესსა და პროცედურას. აღნიშნული წესით განსაზღვრულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც შესაბამისობაშია მოქმედი რეგულაციების მოთხოვნებთან. მოცემული წესის შესაბამისად, უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. აღნიშნულ პროცესების ორგანიზებას ახდენს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, რომლის მიზანია უნივერსიტეტში მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვის ხელშეწყობა და უსდ-ში

დასაქმებული პერსონალის პროფესიული განვითარების კოორდინირება. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ექვემდებარება უშუალოდ უნივერსიტეტის რექტორსა და კანცლერს.

უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია ისეთი აკადემიური და მოწვეული პერსონალით, რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია არსებულ მოთხოვნებთან. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 34 აკადემიური პერსონალი, მათ შორის: 20 არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ხოლო 14 მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი წარმოდგენილია შემდეგი სახით: 7 პროფესორი, 5 ასოცირებული და 8 ასისტენტ პროფესორი. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან 11 აფილირებულია უნივერსიტეტთან (2 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ პროფესორი). ამასთან, უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალის უმრავლესობა არის დარგობრივი მიმართულებით წარმოდგენილი. უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნიათ სათანადო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება აკადემიური პროგრამების განხორციელების კუთხით, რაც დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში მათ მიერ განხორციელებული აკადემიური/სამეცნიერო აქტივობებით რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით და ინტერვიუების შედეგებით. ბუნებრივია, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რესურსი გამოყენებული იქნება საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობის ნაწილშიც. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობას განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ, მონაწილეობენ საერთაშორისო გაცვლით პროექტებში, არიან როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებების, ორგანიზაციების, სარედაქციო კოლეგიის წევრები. ისინი აქტიურად მონაწილეობენ კვალიფიკაციის და პროფესიული განვითარების სასწავლო კურსებსა და ტრენინგებში. მათი ავტორობით გამოცემულია არაერთი სახელმძღვანელო/დამხმარე სახელმძღვანელო, სალექციო კურსი, მაგალითად, ,,საერთაშორისო წარმოება და ოპერაციათა მართვა“ - 2019 წ., ,,ბიზნეს პროცესების მართვა“- 2019 წ. და ა.შ. გამოქვეყნებულია არაერთი სამეცნიერო სტატია, მაგალითად, The Role of Macroeconomic Factors in the Management Decision-making Process, 2021; Asset bubbles, financial sector, and current challenges to regulatory framework, 2021; Pandemic era and its impact on the investment and business environment–Georgian case, 2022, და ა.შ. შესაბამისად, ცხადია, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო

მოთხოვნებთან და მოქმედ რეგულაციებთან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის განსაზღვრის წესი. აღნიშნული წესის შესაბამისად სემესტრული დატვირთვა განსხვავებულია აკადემიური თანამდებობების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგნაირად:

- პროფესორის ყოველკვირეული დატვირთვა საშუალოდ უნდა იყოს არა უმეტეს 20 საათისა;
- ასოცირებული პროფესორის ყოველკვირეული დატვირთა საშუალოდ უნდა იყოს არა უმეტეს 22 საათისა;
- ასისტენტ-პროფესორის ყოველკვირეული დატვირთვა საშუალოდ უნდა იყოს არა უმეტეს 24 აკადემიური საათისა;
- ასისტენტის ყოველკვირეული დატვირთვა საშუალოდ უნდა იყოს არა უმეტეს 26 აკადემიური საათი;
- მოწვეული პერსონალის ყოველკვირეული დატვირთვა საშუალოდ უნდა იყოს არა უმეტეს 10 აკადემიური საათი

ადგილზე ინტერვიუების დროს დაწესებულების მხრიდან გაკეთდა განმარტება, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილ პროგრამაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა განსაზღვრულია არსებული წესის შესაბამისად. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა წარმოდგენილია შემდეგი სახით: 20/14, რაც მიუთითებს იმაზე რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობას შორის ბალანსი დაცულია.

უნივერსიტეტში მოქმედს ასევე ,,აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია'' და ,,სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია''. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით: აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის და სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/20; იმ მოწვეული პერსონალის, რომელიც ახორციელებს პროგრამის სავალდებულო სასწავლო/კვლევით კომპონენტს, თანაფარდობა აკადემიურ პერსონალთან მიმართებით არ უნდა აღემატებოდეს 1/1; აფილირებული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს არსებული აკადემიური პერსონალის 50%-ზე ნაკლები. ამრიგად, ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია არსებულ მოთხოვნებთან. პროგრამას ყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი გამოცდილება. იგი

უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დასტურდება მისი პირადი საქმით და ინტერვიუებით. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები, რომელთა გამოყენება დასტურდება უნივერსიტეტში არსებული მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით. პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები გაწერილია უნივერსიტეტის რეგულაციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; ○ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია; ○ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ

განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევას. დაწესებულებამ შეაფასა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დამოკიდებულება პროგრამის შინაარსის, სასწავლო კურსების, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით კმაყოფილების შესაბამისად. ასევე, ყოველსემესტრულად ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი სტუდენტების გამოკითხვისა და შეფასების საშუალებით. გარდა ამისა, დაწესებულებას დანერგილი აქვს სააუდიტორიო საქმიანობის შეფასების - ურთიერთდასწრების მექანიზმი და პერიოდულად ახორციელებს სწავლების მონიტორინგს. აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად წარადგენს თვითშეფასების ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას აკადემიური პერსონალის საქმიანობის (აკადემიური, კვლევითი, ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი/ შემოქმედებითი) შესახებ და მოწმდება შესაბამისი პასუხისმგებელი სამსახურების მიერ. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის და მხედველობაში მიიღება პერსონალის წახალისების ინსტრუმენტების დაგეგმვისას. ამასთან, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები. პროფესიული მოთხოვნების გათვალისწინებით, სისტემატიურად ტარდება სწავლების თანამედროვე თეორიულ და პრაქტიკულ მიდგომებზე დაფუძნებული სასერთიფიკატო კურსები და ტრენინგები, კვლევითი უნარების განმავითარებელი კურსები და სხვ. წარმოდგენილი დოკუმენტაციებითა და გახორციელებული ინტერვიუების შესაბამისად დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა სხვადასხვა მოკლევადიან საკვალიფიკაციო კურსებსა და ვებინარებში, რაც ხელს უწყობს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განვითარებას. გარდა ამისა, უსდ უზრუნველყოფს პერსონალის საერთაშორისო პროგრამებსა და კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;

- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების სისტემა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ანალიზი 2020-2021წწ.;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების ანგარიში;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის ანონიმური გამოკითხვის ანკეტა - საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;
- აკადემიური პერსონალის სასწავლო საქმიანობის შეფასების კითხვარი;
- სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- ინფორმაცია აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის კამპუსი წარმოდგენილია ადმინისტრაციული და სასწავლო სივრცეებით. აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-

ტექნიკური ინვენტარით, ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები და ა.შ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებულია ცალკე შენობაში, სადაც ყველანაირი პირობა არის შექმნილი სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების მუშაობისათვის. ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა, დამხმარე მასალები, როგორც ელექტრონული ისე მყარი სახით. სტუდენტებს, მოწვეულ თუ აკადემიურ პერსონალს შეუძლიათ, ისარგებლონ შემდეგი სამეცნიერო ბაზებით:

Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core)

e-Duke Journals Scholarly Collection(https://read.dukeupress.edu/)

Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/)

IMechE Journals (https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE)

Openedition Journals (https://www.openedition.org/)

Royal Society Journals Collection(https://royalsociety.org/journals/)

SAGE Journals(https://journals.sagepub.com)

SAGE APCs for Open Access Journals (https://uk.sagepub.com/en-gb/eur/pure-gold-open-access-journals-at-sage)

http://www.nplg.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1

http://dspace.nplg.gov.ge/

http://www.library.court.ge/login.php?geo&authorisation

http://lawlibrary.info/ge/

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული სასწავლო პროცესის მართვის სისტემა emisadmin.gtuni.ge, სადაც ხდება სასწავლო კურსების მიხედვით სასწავლო მასალების ატვირთვა, ყოველკვირეული დავალებების შესრულება და გასწორება.

სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული გარემო მორგებულია სტუდენტების ინტერესებს; სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო და სამკითხველო დარბაზები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკა ჩართულია უწყვეტი სარგებლობის ინტერნეტქსელში და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური, მოწვეული თუ ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტები იცნობენ უნივერსიტეტში არსებული რესურსების გამოყენების წესებს და ხშირად სარგებლობენ საბიბლიოთეკო რესურსებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერება; ○ სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია ბიუჯეტი, რომელიც ორიენტირებულია სასწავლო პროგრამის უწყვეტ და ეფექტიანი განხორციელებაზე. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, ინვესტიციებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის ბიუჯეტი დათვლილია საწყის ეტაპზე 35 სტუდენტზე, რომელიც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ადის 107 სტუდენტამდე. ბიუჯეტში წარმოდგენილია ხარჯები არა მარტო შრომითი ანაზღაურების მიმართულებით, არამედ,

აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების, კვლევების, მივლინებების, პროფესიული გადამზადების და სწავლების მიმართულებით. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს ასევე საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების ხარჯებს, ასევე პროგრამის სტუდენტების სტიპენდიებისა და უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა დაფინანსების ხარჯებს. პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტი მხარს უჭერს პროგრამის განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით. სამსახური შედგება როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ასევე ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მისიაა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირები ჩართოს და მიაწოდოს ინფორმაცია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტიანობის შეფასების, ასევე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ, რათა თითოეულმა მათგანმა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვასა და განვითარებას. ასევე, სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა, უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის დანერგვა და უწყვეტი გაუმჯობესება, მაღალი აკადემიური სტანდარტების, შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განვითარება; საგანმანათლებლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების მიწოდების მაღალ დონეზე წარმართვა; საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო მოთხოვნებთან თავსებადობის უზრუნველყოფა. უსდ-ს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შემდეგ მაჩვენებლებს: დაინტერესებული პირების - სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები; სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების შედეგები; სტუდენტთა მიღებისა და

პროგრესიის მაჩვენებლები; ურთიერთდასწრებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები. სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგისა და კოლეგიალური შეფასების შედეგად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გასცემს რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შიდა შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე, შესაბამისად, უზრუნველყოფილია თვითშეფასების პროცესში აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის და სხვა შესაბამისი დაინტერესებული პირების ჩართულობა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის გაფართოებული შეხვედრები, ასევე ფორმალური და არაფორმალური ფორმატის შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და შეფასების შედეგების გაცნობის მიზნებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან; ▪ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; ▪ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების სისტემა; ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ანალიზი 2020-2021წწ.; ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პაროგრამის 2020-2021 სასწავლო წლის

აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების ანგარიში; ▪ აკადემიური/მოწვეული პერსონალის ანონიმური გამოკითხვის ანკეტა - საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი; ▪ აკადემიური პერსონალის სასწავლო საქმიანობის შეფასების კითხვარი; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, ასევე, გარე ექსპერტის შეფასებას. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა, გარე შეფასების ფარგლებში გაზიარებულ იქნა უსდ-ს პარტნიორ ,,უსაფრთხოებისა და ეკონომიკის უმაღლესი სკოლის" (ბულგარეთი) შეფასების კომისიასთან, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელ დარგის სპეციალისტებთან. აღსანიშნავია, გარე შემფასებლების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო ეტაპზეც. პროგრამა ექსპერტთა მიერ შეფასებულ იქნა დადებითად და პროგრამის უპირატესობებად აღინიშნა კურიკულუმის სტრუქტურა, მრავალფეროვანი სასწავლო კურსები, პრაქტიკის კომპონენტი და პროგრამის განმახორციელებელი რესურსი. წარმოდგენილი

დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოვლენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, დადასტურდა შემფასებელთა მიერ გაცემული რეკომენდაციების ასახვა და გამოყენება პროგრამის სააკრედიტაციოდ მზადების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; ▪ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების სისტემა; ▪ გარე ექსპერტთა შეფასების დოკუმენტი; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ

შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. პროგრამის ფარგლებში, წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით, ხორციელდება აკადემიური პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგიალური დასწრების საშუალებით, ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები აფასებენ სალექციო კურსებს და ხდება სასწავლო კურსისთვის დადგენილი მიზნობრივი ნიშნულის და ფაქტობრივი შედეგების ანალიზი. ასევე, პროგრამის დასრულებისას - სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპებზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და დამსაქმებლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. არსებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება შეფასების სისტემის მოდიფიცირება და ადაპტირება.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებისა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კონკრეტულ შემთხვევაში, მოკვლეულ იქნა საქართველოში მოქმედი 19 პროგრამა და საზღვარგარეთ მოქმედი ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი წარმატებული პროგრამები. ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა სტრუქტურის, პროგრამის მიზნებისა და შედეგების თანხვედრა, მოქნილი სტრუქტურის უპირატესობა და პროფესიული უნარების გამომუშავებისათვის ადაპტირებული პრაქტიკული დატვირთვის მქონე სასწავლო კურსების მსგავსება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;

• ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; • გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; • გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების სისტემა; • ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ანალოგ პროგრამებთან დადარების ანალიზის დოკუმენტი (ბენჩმარკინგი); • სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gtuni.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება,
საფეხური: ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი),
ბაკალავრიატი
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 47

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ვასილ კიკუტაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ელენე ჯღარკავა

თამთა ცხოვრებაძე

ნინო ჯავახიშვილი